



სახელი, გვარი -----

თარიღი -----

VII კლასი

1) ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან რამდენია მარტივი რიცხვი?

4; 1; 13; 17; 51; 71; 98.

ა) ერთი

ბ) ორი

გ) სამი

დ) ოთხი

2) ცეკვის წრეზე ჩაწერილია 13 ბიჭი და 11 გოგონა. ერთ-ერთ დღეს ცეკვის გაკვეთილზე არ გამოცხადდა 6 მოსწავლე, მაგრამ ცნობილია, რომ ნინო, თეონა და ნატო გამოცხადნენ. ყველაზე კიდევ რამდენი გოგონა შეიძლება გამოცხადებულიყო ან=მ დროს ცეკვის გაკვეთილზე?

ა) ერთი

ბ) ორი

გ) ხუთი

დ) რვა

3) ნინო, მარი და ნათია ტყუპები არიან. მათი წლოვანებათა ჯამი შარშან იყო 21. რამდენი წლის იქნება ნათია მომავალ წელს?

ა) 23

ბ) 22

გ) 9

დ) 8

4) თუ $MN = 3 \times AB$ მაშინ ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?

- MN მონაკვეთი 3-ჯერ უფრო გრძელია, ვიდრე AB მონაკვეთი;
- AB მონაკვეთი 3-ჯერ უფრო მოკლეა, ვიდრე MN მონაკვეთი;
- AB მონაკვეთის სიგრძე MN მონაკვეთის სიგრძის ტოლია;

ა) ერთი

ბ) ორი

გ) სამი

დ) არც ერთი



5) მატარებლის შემადგენლობაში 23 ვაგონია. მარიამი შეცდომით ბოლოდან მესამე ვაგონში ჩაჯდა. გამცილებელმა იგი 2 ვაგონით წინ გადაიყვანა. რომელ ვაგონში ჩაჯდა მარიამი შეცდომით ?

ა) ოცდამეერთეში ბ) მეოცეში გ) მეცხრამეტეში დ) მეთვრამეტეში

6) სეიფის საკეტი დაშიფრულია ორი კენტი ციფრით. მარცხნიდან I ციფრი ნაკლებია II ციფრზე. ყველაზე ცოტა რამდენი ცდაა საჭირო იმისათვის, რომ დანამდვილებით ვიცოდეთ სეიფის შიფრი?

ა) 16 ბ) 15 გ) 10 დ) 9

7) კლასში 24 მოსწავლეა. გოგონების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ვაჟების რაოდენობა. სულ მცირე, რამდენი გოგონა შეიძლება იყოს კლასში?

a) 11 b) 12 g) 13 d) 14

8) როგორ შეიცვლება სხვაობა, თუ საკლები გაიზრდება 800-ით, ხოლო მაკლები კი შემცირდება 300-ით?

ა) გაიზრდება 1100-ით ბ) შემცირდება 500-ით
გ) გაიზრდება 500-ით დ) შემცირდება 1100-ით

9) AB მონაკვეთზე აღებულია C წერტილი. რა სიგრძისაა AB მონაკვეთი, თუ $AC = 9$ სმ, $CB = 6$ სმ?

ა) 3 სმ ბ) 15 სმ გ) 1,5 სმ დ) 6 სმ

10) გაავლე a წრფე და მონიშნე სამი წერტილი წრფის ერთ მხარეს, ხოლო ორი წერტილი – მეორე მხარეს. ეს ხუთი წერტილი შეაერთე მონაკვეთებით ისე, რომ მიღებულმა ტეხილმა a წრფე გადაკვეთოს ორ წერტილში.



11) დაამრგვალე:

ათასეულეზამდე: a) 3 245 \approx b) 14 867 \approx

ასეულეზამდე: ა) 381 ბ) 967

12) იპოვე გამოსახულების პასუხი:

ა) $2019 - 8 \times (32 + 9) =$

ბ) $1888 : 8 - 12 \times 13 =$

13) იპოვეთ განაყოფი და ნაშთი:

ა) $109 : 2 =$

ბ) $335 : 6 =$

14) პაკეტი, რომელშიც 5 ვაშლი და 14 მანდარინია, 1 კგ-ს და 360 გ-ს იწონის, ხოლო პაკეტი, რომელშიც 5 ვაშლი და 16 მანდარინია 1 კგ-ს და 480 გ-ს იწონის. რამდენ გრამს იწონის 1 ვაშლი და რამდენ გრამს იწონის 1 მანდარინი?

პასუხი: ვაშლი _____, მანდარინი _____.

15) ამოხსენი განტოლება:

$(X + 40) \times 6 = 300$



შპს “საჯაროთაშორისო აკადემიური ცენტრი”
